სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 922/06

ქ. თბილისი 10 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,მაი მობაილ+" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბოკერიას შესყიდსახით, სახელმწიფო ვების კანონის მე-10 [1] მუხლის, მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით კუთრი წინაღობის კვლევის გეოფიზიკური ხელსაწყოს შესყიდვა CPV 38270000

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	შესყიდვის ობიექტი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1.	კუთრი წინაღობის გამზომი დეტექტორი - GE0809 Combination Gamma (1'X3 detector)	1	29 000.00	29 000.00
2	კუთრი წინაღობის გამზომი ხელსაწყოსათვის ადაპტერი -LNA0809 Long Resistivety adapter For the Ge0809	1	7 000.00	7 000.00
სულ ჯამი :				36 000.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 36 000.00 (ოცდათექვსმეტიათასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის/პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღე.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ან ეტაპობრივად, არაუმეტეს ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ვადისა.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სახაზინო ანგარიშიდან, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით .

7.3 შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინასწარი ანგარიშსწორებით, სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გადასარიცხი თანხის 50%-ის ოდენობის შესაბამისი საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 31 მაისის № 1627 განკარგულების თანახმად, შპს „მაი მობაილ +"-ი წარმოადგენს თეთრ სიაში დარეგისტრირებულ კომპანიას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N2 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტია.

7.4 საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.5 მიმწოდებელს გარანტია უკან დაუბრუნდება შესყიდვის ობიექტის მიღების შემდეგ, მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1 ,,ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილი'' დანართი №1-ის შესაბამის პოზიციებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია 1 წელი. საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეაკეთოს ან შეცვალოს საქონელი ახლით;

12.2 ექსპლუატაციის პროცესში, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას.

12.3 საჭიროების შემთხვევაში ორი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 01 მარტამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს ,,მაი მობაილ +"**
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	**მისამართი:** ქ.თბილისი; მიცკევიჩის 27გ
რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახაზინო სამსახური	სს ,, პროკრედიტ ბანკი"
მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით	ა/ა N GE02 PC 0053 6001 0001 9713
	ბანკის კოდი: MIBGGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548	**საიდენტიფიკაციო კოდი:** 205294705
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:	**დირექტორი:**
/ნ. ოვსიანიკოვა/	/ზ. ბოკერია/

ПРОКРЕДИТ БАНК
ProCredit Bank
Georgia

15.11.2016

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, აღ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

სათავო ოფისი
საკორესპონდენტო ურთიერთობის ქვეგანყოფილება

ავტორი : თამთა ჯღარკავა
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1280)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : t.jgarkava@procreditbank.ge

თარიღი : 15.11.2016

ბენეფიციარი:

სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"

ს/კ 204864548

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1

საბანკო გარანტია წინასწარ გადახდაზე

წინამდებარე საბანკო გარანტიით ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" გარანტად დგება **სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს** (შემდგომში "ბენეფიციარი") წინაშე **შპს „მაი მობაილ +"-ს** (თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 9; საიდენტიფიკაციო კოდი: 205294705) (შემდგომში "პრინციპალი") სასარგებლოდ, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის *ქ. თბილისში 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №922/06-ის* პირობების შესაბამისად წინასწარი (საავანსო) გადახდის უზრუნველყოფის მიზნით. .

საბანკო გარანტიის ზღვრული თანხაა 18,000.00 (თვრამეტი ათასი) ლარი.

საბანკო გარანტია ძალაში შედის პრინციპალის მიერ წინასწარი (საავანსო) გადახდის მიღების პროპორციულად პრინციპალის ანგარიშზე სს "პროკრედიტ ბანკ"-ში.

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაა **2017 წლის 15 მაისის ჩათვლით.**

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს ყოველგვარი გასაჩივრებისა და უარყოფის გარეშე საბანკო გარანტიის ზღვრული თანხა ბენეფიციარისაგან პირველივე წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ დაირღვა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს მის მიერ ავანსად გადახდილი თანხა.

წინამდებარე საბანკო გარანტიის საფუძველზე გარანტის მიერ შესრულებული გადახდები, ამავე გადახდების თანხით ამცირებს საბანკო გარანტიის თანხას.

საბანკო გარანტია წყდება:

1. ვადის გასვლით;
2. წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული შესაძლო გადახდების ბენეფიციარისათვის გადახდით საბანკო გარანტიის ფარგლებში;
3. ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც მოხდება წინამდებარე საბანკო გარანტიის გაუქმება.

წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე (უფლებამოსილი პირის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა) წარედგინება გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე შემდეგ მისამართზე: სს "პროკრედიტ ბანკი", სათაო ოფისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №21, 0160 თბილისი, საქართველო.

პატივისცემით,
ს.ს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო

ნუგზარ რაზიკაშვილი	თეიმურაზ მანჯგალაძე	თამთა ჯღარკავა
საკრედიტო რისკების ოფიცერი	*უფროსი საკრედიტო რისკების ოფიცერი*	*ვაჭრობის დაფინანსების სპეციალისტი*

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080168110715216

 # 1627 **31 / მაისი / 2016 წ.**

შპს „მაი მობაილ +"-ის თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 20 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „მაი მობაილ +"-ის (ს/კ: 205294705) 2016 წლის 20 მაისის მომართვა (რეგისტრაციის № 4275) და 2016 წლის 24 მაისის დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 4363), რომლებითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2016 წლის 27 მაისს შპს „მაი მობაილ +"-მა წარმოადგინა 2016 წლის 27 მაისის დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №4482), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2016 წლის 25 მაისის №2429 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ორი და არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, მიმწოდებელს უფლება აქვს, წარადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ვადის დარღვევით, მას შესაძლოა არ გაუგრძელდეს რეგისტრაციის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მისი მომართვა ჩაითვლება თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად, რომელიც განიხილება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

შპს „მაი მობაილ +"-მა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა სააგენტოში წარმოადგინა 2016 წლის 20 მაისს, ხოლო მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურებოდა 2016 წლის 29 მაისს. შესაბამისად, სააგენტომ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მიმწოდებლის მომართვა ჩათვალა თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების" მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების" მე-6 მუხლით, ასევე მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მაი მობაილ +" (ს/კ: 205294705) 2016 წლის 1 ივნისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული

ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

mymobile.ge

თბილისი 15.11.2016

N2016/299

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელს ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას

ქალბატონო ნუნუ,

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „მაი მობაილ+" - ს შორის 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული N 922/06 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო საავანსო გარანტიას.

ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „მაი მობაილ+" რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში და ჩვენზე ვრცელდება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N2 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი, რაც უფლებას გვანიჭებს წარმოგიდგინოთ წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტია.

გთხოვთ, ჩაგვირიცხოთ ავანსი ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით.

წერილს თან ერთვის თეთრ სიაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ორ ფურცლად და საბანკო საავანსო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ზე.

პატივისცემით,

შპს „მაი მობაილ+" - ის დირექტორი: ბუდაბ ბოკერია

"MY MOBILE" LIMITED LIABILITY COMPANY * GEORGIA * 205294705